საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

05 სექტემბერი 2025 წ.

KA000066761865825

№ **25/7114**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების დასაბუთების თაობაზე

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო მიხეილ,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში.[1] მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატი აკვირდება გამოძიების მიმდინარეობისას საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შემთხვევებში პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის მდგომარეობას.

2025 წლის 1 სექტემბერს და 3 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს
განცხადებებით მიმართეს,

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და 12 თვის ვადით ყადაღა დაედო ბანკებში რამდენიმე არასამეწარმეო იურიდიული პირის:

ყველა სახის საბანკო ანგარიშს. განმცხადებლები ასევე

აღნიშნავენ, რომ განჩინება გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში

ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელდა განცხადება, რომლის თანახმადაც, 12 იურიდიული პირის - ფონდებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშების დაყადაღება განხორციელდა საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებებში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ ფინანსების მობილიზების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში. ამავე განცხადების თანახმად, „გამოძიებით დადგენილია, რომ 2024 წლის პერიოდში საქართველოს პარლამენტის წინ და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე მიმდინარე ძალადობრივი საპროტესტო აქციების დაგეგმვასა და ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ასევე ცალკეული ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული გარემოებები და სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები საფუძვლად დაედო 12 იურიდიული პირის - ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშების დაყადაღებას, რითაც შეიზღუდა ფულადი სახსრების შემდგომი არამიზნობრივი განკარგვა.“[2]

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს
განჩინების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ რამდენიმე არასამეწარმეო იურიდიული პირის,

საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაედო სისხლის სამართლის
საქმეზე, საბოტაჟის მცდელობის,[3] უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების[4] და საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების ან ამგვარი საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენის[5] შესაძლო ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში. თუმცა განჩინებაში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რაში და რა ფარგლებში გამოიხატებოდა თითოეული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქმედება, რომელი კონკრეტული შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ორგანიზება ან/და ფინანსური ან სხვა სახის მატერიალური დახმარების გაწევა იქნა განხორციელებული ან/და დაგეგმილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის შემთხვევებში, როდესაც საკითხი ეხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონების მიმართ ყადაღის გამოყენებას, სასამართლოს მსჯელობა უწევს ადამიანის უფლებების სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის საკუთრების უფლების შეზღუდვის აუცილებლობასა და ფარგლებზე, რასაც შეიძლება ასევე გავლენა ჰქონდეს სხვა, მესამე პირების ინტერესებზეც. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი არაერთი შუამდგომლობა, შესაძლოა მომავალშიც გახდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განხილვის საგანი, ამავე დროს საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა დაცვაში, შესაბამისი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობისთვის, საქართველოს სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, საჩივრის განმხილველ საგამოძიებო კოლეგიას წარუდგინოს სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) ზოგადი მოსაზრება.

სასამართლო მეგობრის ზოგადი მოსაზრება არ ემსახურება სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს რელევანტური ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტის იდენტიფიცირებას.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მომზადებულია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების საფუძველზე.

1. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით“.[6]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.[7]

ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ პირის, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ყადაღის დადების შესახებ განჩინების შედეგად ან/და მის ადვოკატის განჩინებაზე საჩივარი, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ განიხილება მისი შეტანიდან 72 საათის განმავლობაში.[8]

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უწესებს სასამართლოსთვის წერილობითი მოსაზრების წარდგენის 5 დღიან ვადას საქმის არსებით განხილვამდე, [9] საჩივრის განხილვამდე დადგენილზე გაცილებით მცირე პერიოდში წარმოგიდგენთ წერილობით მოსაზრებას, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საქმის განხილვამდე წერილობითი მოსაზრების წარდგენისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადის დაცვა ვერ განხორციელდება სასამართლოსთვის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებაზე საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტისთვის კანონმდებლობით დადგენილი მცირე ვადის გამო.

2. ფაქტობრივი გარემოებები[10]

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორის შუამდგომლობა და 12 თვის ვადით ყადაღა დაედო:

ყველა სახის საბანკო ანგარიშს და ყადაღის დადების შემდგომ აიკრძალა დაყადაღებული ანგარიშების განკარგვა.

განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ *„შუამდგომლობაზე დართული მასალები ასაბუთებს საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების აუცილებლობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს საკმარისი მონაცემები და ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან და წარმოდგენილია პროკურორის მიერ.* ***ყადაღის დადების მიზანს წარმოადგენს, დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთის უზრუნველყოფა.*** *წარმოდგენილი მასალების თანახმად, დასახელებული ორგანიზაციები გასცდნენ წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ემსახურებიან დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებას. შესაბამისად, იმისათვის, რომ* ***<u>უზრუნველყოფილი იქნეს სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, არ მოხდეს შემდგომი გამოძიებისათვის ხელის შეშლა, აუცილებელია ყადაღა დაედოს: ზემოაღნიშნულ საბანკო ანგარიშებს.</u>*** *ამდენად, არსებობს მოთხოვნილი ანგარიშების დაყადაღების აუცილებლობა.*

შესაბამისად, წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოცემულ საქმეზე არსებობს ყადაღის დადების საფუძველი და აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პროკურორის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, რითაც არ ილახება კონკრეტული პირის (პირების) კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლება, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ნათლად მიუთითებს და ითვალისწინებს, რომ საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.“

2025 წლის 1 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, *„საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზების ფაქტებზე.*

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გასარკვევად, მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაბარებული არიან ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

*სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2024 წლის პერიოდში საქართველოს პარლამენტის წინ და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე მიმდინარე ძალადობრივი საპროტესტო აქციების დაგეგმვასა და ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ასევე ცალკეული ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული გარემოებები და სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები საფუძვლად დაედო 12 იურიდიული პირის - ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშების დაყადაღებას, რითაც შეიზღუდა ფულადი სახსრების შემდგომი არამიზნობრივი განკარგვა.“***[11]

3. ამიკუსის მიზნებისათვის რელევანტური საქართველოს კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

3.1. საკუთრების უფლება და დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული და უზრუნველყოფილია საკუთრების უფლება.[12] ამასთანავე, დასაშვებადაა მიჩნეული ამ უფლების შეზღუდვა საჯარო ინტერესებისთვის, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.[13]

საკუთრების უფლებას და, მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობას ასევე ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი.[14]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს პროცესის მონაწილის ქონებასა და საბანკო ანგარიშებს დაედოს ყადაღა „ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას.“[15]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, „ყადაღის დადება ასევე გამოიყენება [...] განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად.“[16]

ამასთან, „შეიძლება ასევე ყადაღა დაედოს ქონებას, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული, ან/და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული, ამასთანავე, აღნიშნულ ქონებაზე ყადაღის დადება საჭიროა ერთი ან რამდენიმე შემდეგი მიზნის მისაღწევად:

ა) ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად;

ბ) განადგურებისგან ან დაზიანებისგან მის დასაცავად;

გ) მისი გადამალვის, გასხვისების ან დახარჯვის აღსაკვეთად;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე მისი შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად.“[17]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ადგენს, ყადაღის დადების შემთხვევაში, თუ როდის შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ყადაღადადებული ქონების განკარგვის უფლება და რა შემთხვევებში არის დაშვებული ასევე ასეთი ქონებით სარგებლობის შეზღუდვა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ყადაღადადებული ქონების როგორც განკარგვის, ასევე სარგებლობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს განჩინებით, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ასევე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე, მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად; ახალი დანაშაულის აღსაკვეთად ან მისი გადამალვის, გასხვისების ან დახარჯვის აღსაკვეთად.[18]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლი, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გასაჩივრების პროცედურისთვის ადგენს ამავე კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესის გამოყენებას[19] და სასამართლოს ავალდებულებს, საჩივრის დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი, გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება.[20]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, კერძოდ, „დასაბუთებული ვარაუდი - ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადება, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტები.“[21]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს მძიმე და **განსაკუთრებით მძიმე** დანაშაულების მომზადებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[22] ამასთან, დანაშაულის მომზადებად

მიიჩნევს დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნას[23] და დანაშაულის მომზადებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, დანაშაულის მომზადებაზე მითითებით.[24]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის იურიდიულ პირს, როგორც სამეწარმეოს, ასევე **არასამეწარმეოს (არაკომერციულს),** უფლებას ანიჭებს განახორციელონ კანონით აუკრძალავი **ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული,[25]** თუმცა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში კრძალავს მოგების განაწილებას.[26]

გარდა ამისა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, გარანტირებული და დაცულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების სამართლიანი სასამართლოს უფლებები, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ***დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება.***

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და აღნიშნავს, რომ „ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა მიუთითონ ის საფუძვლები, რომლებზეც ისინი აფუძნებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს. სწორედ ეს, სხვა საკითხებთან ერთად საშუალებას აძლევს ბრალდებულს, ეფექტიანად გამოიყენოს მინიჭებული გასაჩივრების უფლებები.“[27]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, პროფესიონალი მოსამართლეების ჩატარებულ სასამართლო პროცესში, პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გაგება, პირველ რიგში, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობითაა განპირობებული. დასაბუთებული გადაწყვეტილება ავალდებულებს მოსამართლეს, მსჯელობა დააფუძნოს ობიექტურ არგუმენტებზე და დაიცვას მხარის უფლებები.[28] ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა მიუთითონ ის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მათი გადაწყვეტილებები.[29]

გადაწყვეტილების დასაბუთების მოვალეობის ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების ხასიათის მიხედვით და უნდა განისაზღვროს საქმის გარემოებების გათვალისწინებით.[30] სასამართლოები არ არიან ვალდებული, გასცენ დეტალური პასუხი განმცხადებლის ყველა წამოჭრილ არგუმენტზე,[31] თუმცა გადაწყვეტილებიდან ცხადი უნდა იყოს, რა არსებითი საკითხები იქნა განხილული[32] და საქმის შედეგისთვის გადამწყვეტ არგუმენტებზე გაცემული უნდა იყოს კონკრეტული და მკაფიო პასუხი.[33] ასევე, უნდა არსებობდეს მტკიცებულებითი საფუძველი კონკრეტული დასკვნებისთვის.[34]

საქმეებში, რომლებიც ეხება კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას, ევროპული სასამართლო ცდილობს დაადგინოს, არის თუ არა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება ავტომატური ან სტერეოტიპული.[35] სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული საკითხი ჩვეულებრივ წამოიჭრება მაშინ, როდესაც ეროვნული სასამართლოები უგულებელყოფენ და არ აფასებენ მომჩივნის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ, აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს.[36]

აუცილებელია, სასამართლოებმა გადაწყვეტილებებში მიუთითონ საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულების სათანადო შეფასების შესახებ, რაც მოიცავს ჯეროვან ყურადღებას მტკიცებულებების მიმართ, რომელთა ტიპი ან წყარო შეიძლება იყოს პოტენციურად პრობლემური, და დაასაბუთონ ყველა გამოტანილი დასკვნა.

3.2. უფლებადამცველები და მათი საქმიანობა

საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, უფლებადამცველს წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანი, პროფესიული თუ სხვაგვარი სტატუსის მიუხედავად, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით, მოქმედებს ადამიანის უფლებების დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე და აღიარებს ადამიანის უფლებათა უნივერსალურობას განურჩევლად ყველასთვის.[37]

უფლებადამცველთა ყველაზე კლასიკურ მაგალითს ის პირები წარმოადგენენ, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვას და მხარდაჭერას გულისხმობს.[38] ასეთები არიან არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებულები, რომლებიც უშუალოდ იცავენ ადამიანის უფლებებს, ასევე მუშაობენ დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც, საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობაზე აისახება.[39]

უფლებადამცველების უფლებებს ჩამოთვლის უფლებადამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაცია. მათ შორის, დეკლარაცია მათ ანიჭებს შესაძლებლობას, დაიცვან ადამიანის უფლებები და ხელი შეუწყონ მათ რეალიზაციას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; ისარგებლონ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით; თავისუფლად გაავრცელონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული შეხედულებები, ინფორმაცია და ცოდნა; საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, გააკრიტიკონ სახელმწიფო უწყებები და მიმართონ მათ შესაბამისი წინადადებებით, ასევე ყურადღება მიაპყრონ მათი საქმიანობის იმ

ასპექტებზე, რომლებიც ხელს უშლის ადამიანის უფლებების მხარდაჭერას, დაცვას და რეალიზაციას; მოიძიონ და გამოიყენონ რესურსები ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით და სხვ.[40] მართალია, აღნიშნულ დოკუმენტს არ გააჩნია სამართლებრივად მბოჭავი ბუნება, თუმცა მასში ასახული დებულებები სავალდებულოდ შესასრულებელ საერთაშორისო ინსტრუმენტებს (როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ") ეფუძნება.[41] ამასთან, აღსანიშნავია, რომ დეკლარაცია მიღებულ იქნა ერთხმად, რაც სახელმწიფოების მხრიდან მისი იმპლემენტაციის ძალიან მაღალ მზაობას მოწმობს.[42]

ამდენად, არასამთავრობოების მიერ განხორციელებული ნებისმიერი კანონიერი საქმიანობა, რაც დაკავშირებულია შეკრების თავისუფლებით სარგებლობასთან ან სხვა პირების მიერ ამ უფლების რეალიზაციის ხელშეწყობასთან, წარმოადგენს სტანდარტულ უფლებადაცვით საქმიანობას, რომელიც მომეტებული დაცულობით სარგებლობს.

სახელმწიფოებს უფლებადამცველების საქმიანობის ხელშესაწყობად, განსაკუთრებული სახის ვალდებულებებს უწესებენ გაერო,[43] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR),[44] ევროპის საბჭო[45] და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მათ შორის, საყურადღებოა, რომ გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება დეკლარაციაში ასახული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისთვის.[46] ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო ("enabling environment"), რომელშიც უფლებადამცველებს ექნებათ დაუცველობისა და დაბრკოლებებისგან თავისუფალი მოქმედების საშუალება.[47] ხსენებული გარემო მოითხოვს არა მხოლოდ უფლებადამცველების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვას, არამედ აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელი სხვა ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფას.[48]

როგორც საქართველოს პროკურატურის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებით იკვეთება, უწყებამ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება მოითხოვა 2024 წლის პერიოდში საქართველოს პარლამენტის წინ და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე საპროტესტო აქციებში მათ მიერ შეტანილი წვლილის გამო. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ „სამართალდამცავთა წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების განმახორციელებელი აქციის მონაწილეთა სპეციალური საშუალებებით აღჭურვა, კოორდინირებულად ხდებოდა მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების სახსრებით". ამასთან, პროკურატურის მითითებით, „ორგანიზაციების ხელმძღვანელები ღიად მოუწოდებდნენ საზოგადოებას დაუმორჩილებლობისკენ და წინააღმდეგობისკენ, ამავდროულად მათი ორგანიზაციული და ფინანსური საქმიანობა სრულად იყო მიმართული ძალადობრივ ქმედებებში ჩართული პირების და მათი ოჯახის წევრებისთვის ფინანსური მფარველობის უზრუნველსაყოფად".

მსგავსი მოთხოვნების განხილვისას, მნიშვნელოვანია, სასამართლოს მხრიდან ყურადღება მიექცეს, რამდენად წარმოადგენს დასახელებული ქმედებები უფლებრივი სტანდარტით დაცულ უფლებადაცვით საქმიანობას და მათ საპასუხოდ მიღებული საზედამხედველო თუ სხვაგვარი ზომები ხომ არ წარმოშობს ხელშეშლის ან დაშინების საფრთხეებს ლეგიტიმური საქმიანობის გამო. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ფრთხილად და ზედმიწევნით შეფასდეს, შეიცავს თუ არა თითოეული სადავო ქმედება ან/და გამონათქვამი დანაშაულის ნიშნებს.

3.2.1. უფლებადამცველი ორგანიზაციების ფუნქციონირებისა და სერვისების მნიშვნელობა მათი ბენეფიციარებისთვის

უფლებადამცველი ორგანიზაციების ქმედით და შეუფერხებელ მუშაობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების (ქალების, ბავშვების, შშმ პირების) უფლებების დაცვის მიმართულებით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვაზე, არამედ შეზღუდვის გავლენაზე - ორგანიზაციული საქმიანობის შეჩერება პირდაპირ კავშირშია ბენეფიციართათვის არსებულ სერვისებზე წვდომის შეზღუდვასთან.

მოწყვლადი ჯგუფების კუთხით უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელობასა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის აუცილებლობას არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე მომუშავე ორგანიზაციები

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)[49] და მისი განმარტებითი ბარათი[50] სახელმწიფოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობის ხელშეწყობისა და თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას ქვეყანაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისათვის სახელმწიფო დონეზე კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს.[51] მათ შორის, ხაზგასმით აღნიშნავს მათი ჩართულობის მნიშვნელობას საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებისას.[52]

სტამბოლის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესასრულებლად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) ქვეყნის შესახებ საბაზისო შეფასების ანგარიშში გასცემს რეკომენდაციებს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდას, მხარდაჭერასა და გაძლიერებას ეხება. მათ შორის, კონვენციის მსგავსად, სახელმწიფოს მოუწოდებს გაზარდოს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისა და პრევენციის კანონების, საჯარო პოლიტიკისა დაპროგრამების მომზადების, კოორდინირებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.[53] დამატებით, GREVIO საქართველოს მოუწოდებს - უზრუნველყოს ქალთა უფლებებზე მომუშავე იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი დაფინანსების სტაბილურობა, რომლებიც ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლი ქალებისთვის მხარდაჭერის სპეციალიზებულ სერვისებს ახორციელებენ.[54]

ხოლო პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმაში აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უნდა წახალისდნენ სამოქმედო პლატფორმის განსახორციელებლად რესურსების გამოყოფის მიზნით. მთავრობებმა უნდა შექმნან მხარდამჭერი გარემო არასამთავრობო ორგანიზაციების, კონკრეტულად ქალთა ორგანიზაციების, ფემინისტური ჯგუფების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ რესურსების მობილიზაციისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციის შესაძლებლობები ამ მიმართულებით კი უნდა გაძლიერდეს.[55] ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქალთა ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართულობის მნიშვნელობაზე სამოქმედო პლატფორმის ეფექტურ განხორციელებაში.[56]

ბავშვთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვი განსაკუთრებული დაცვის სუბიექტია.[57] სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ბავშვებისთვის უსაფრთხო, მათ სრულფასოვან განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა,[58] სადაც მოქმედებს არასრულწლოვნებისთვის მხარდაჭერაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, რეაბილიტაციასა და მართლმსაჯულების პროცესში მათი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული როგორც სახელმწიფო ასევე, არასამთავრობო სექტორის მიერ დანერგილი სერვისები.[59]

სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა ზომა ძალადობაგანცდილი ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდგომ.[60] ხოლო, ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მათი უფლებების რეალიზების პროცესში ერთ-ერთი ძირითადი როლი არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ, ბავშვზე მორგებული მასალების შექმნის, მართლმსაჯულების მექანიზმების შესახებ ბავშვებისა და საზოგადოების ინფორმირების, კონკრეტულ საქმეებში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვანთა ხელშეწყობის, რეაბილიტაციის, ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ფუნქციონირებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების სისტემის ხელშეწყობის კუთხით.[61] ორგანიზაციები, შესაბამისი სახელწმიფო სერვისების სიმწირის ან არარსებობის ფარგლებში, მსხვერპლი და მოწმე ბავშვებისთვის უზრუნველყოფენ მათზე მორგებულ სერვისებს.[62] სწორედ ამიტომ, ბავშვის უფლებათა ეფექტიანი დაცვისთვის სახელმწიფოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს არასამთავრობო და თემზე დაფუძნებული ისეთი მომსახურებების შექმნას, რომელიც იცავს არასრულწლოვანთა კონფიდენციალობას და არ იწვევს მომსახურების მიმღებ მსხვერპლთა სტიგმატიზაციას.[63]

ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ყველა აქტორის, სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორის, ორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელობაზე და ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ ყველა პასუხისმგებელ სუბიექტს ჰქონდეს სათანადო ცოდნა და შესაძლებლობა, შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები.[64] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, კომიტეტი ასევე, მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, აქტიურად ჩართოს ორგანიზაციები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის დანერგვისა და განვითარების პროცესში, საჭიროებისამებრ კი გააძლიეროს ორგანიზაციები, სწორედ ამ პროცესში ჩართვის მიზნით.[65]

ეროვნული კანონმდებლობის, ბავშვის უფლებათა კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, იმ მოქმედების განხორციელებისას ან/და გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ბავშვს უკავშირდება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო სამართლის სუბიექტი, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო - ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესად უნდა იქნეს გათვალისწინებული.[66] ბავშვის საუკეთესო ინტერესების სრული დაცვა კი გულისხმობს მულტისექტორული თანამშრომლობით, უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის ფსიქოლოგიური, მორალური და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და იცავს მის ღირსებას.[67]

ამ მიზნებისთვის, ტერმინი ბავშვთან *„დაკავშირებით“* განიმარტება ფართოდ და მოიცავს ყველა მოქმედებას/გადაწყვეტილებას, რომელსაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვს კონკრეტულ ბავშვზე, ბავშვებზე, როგორც ჯგუფზე ან ზოგადად ბავშვებზე.[68] თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაღაც ფორმით, მაინც ახდენს ბავშვებზე გავლენას, ყველა გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ერთნაირი

სტანდარტი არ მოქმედებს. აღნიშნული უნდა შეფასდეს და იმ შემთხვევებში, როდესაც მოქმედებას ან გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბავშვებზე, სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს ბავშვთა დაცვის უფრო მაღალი გარანტიებით და დეტალურად გაწერილი პროცედურებით უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების სრულყოფილი განსაზღვრა.[69] შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ბავშვები არ არიან მოქმედების/გადაწყვეტილებების პირდაპირი ადრესატები, უნდა შეფასდეს ინდივიდუალური გარემოებები და დადგინდეს, რაიმე ფორმით *„უკავშირდება“* თუ არა ეს მოქმედება/ გადაწყვეტილება ბავშვის უფლებებს, რათა შემდგომ ეტაპზე, სათანადოდ განისაზღვროს რეალურად, რა გავლენა აქვს მას ბავშვებზე.[70] ხოლო, ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების/მოქმედების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების განსაზღვრაა.[71]

ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროცესში სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს აქვთ განსაკუთრებული როლი, რომელთა მხარდაჭერა და გაძლიერება საერთო მიზანს - ბავშვთა უფლებების ეფექტიან დაცვას ემსახურება.[72] გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებით მომზადებულ დასკვნით მიგნებებში, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, სისტემატიურად ჩართოს არასამთავრობო ორგანიზაციები ბავშვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კომიტეტმა ხაზი გაუსვა ასევე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ისეთი მოქმედებების თავიდან არიდებისკენ, რომელიც შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს ბავშვთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობაზე.[73]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია,[74] რომლის მონაწილეც საქართველოა, ასევე საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ,“ ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები, დისკრიმინაციისგან დაცვა და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ ვალდებულებების შესრულების პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც შშმ პირების უფლებების დაცვის მიმართულებით საქმიანობენ.

აღსანიშნავია ცნობიერების ამაღლების კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციათა[75] როლი მაშინ, როცა საზოგადოებაში ძლიერია სტიგმა და სტერეოტიპები შშმ პირთა, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა უფლებების მიმართ.

ხშირ შემთხვევებში არასამთავრობო ორგანიზაციებს ენიჭებათ მნიშვნელოვანი როლი როგორც შშმ პირთა უფლებების ადვოკატირების, ისე უფლებების რეალიზაციის მონიტორინგის კუთხით.[76]

არასამთავრობო ორგანიზაციები, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, ახორციელებენ შშმ პირების სამართლებრივ დახმარებას, უფასო იურიდიულ კონსულტაციას და სასამართლო წარმომადგენლობას. მათი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში, რეალურ საფრთხეს წარმოადგენს როგორც უკვე არსებული საქმეების მსვლელობის შეფერხება, ასევე, შშმ პირთა მხრიდან მიმართვიანობის შემცირება, მათ შორის, მათ მიმართ ძალადობის საქმეებსა და სხვა უფლებების დარღვევების შემთხვევებზე, რაც უარყოფითად აისახება ამ პირთა უფლებების დაცვის ხარისხზე.[77]

3.3. წინამდებარე საქმის ანალიზი[78]

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 1 სექტემბრის განცხადებიდან იკვეთება,

ყველა სახის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაედო და აეკრძალა დაყადაღებული ახგარიშების გახკარგვა, დამამძიმებელ გარემოებებში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ ფინანსების მობილიზების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.

მართალია საქართველოს კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს გამოძიების ფარგლებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებას და ყადაღადადებული ქონების განკარგვის აკრძალვას. თუმცა, ამავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საკუთრების უფლების დაცვის მიზნით ითვალისწინებს ქონების მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ინტერესებსაც და ბრალდების მხარეს უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკუთრების უფლებაში დაუსაბუთებელი და თვითნებური ჩარევა. ჩარევის საფუძვლიანობისა და აუცილებლობის შესაფასებლად და ბრალდების მხარის თვითნებობის პრევენციის მიზნით კი, აწესებს სასამართლო კონტროლის აუცილებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ გასათვალისწინებელია გამოძიების ინტერესები, არ გამჟღავნდეს გარკვეული სახის ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმიდან, სასამართლოს კონტროლის განხორციელებისას

აუცილებელია განჩინებიდან ნათელი იყოს, თუ კონკრეტულად რომელ ქმედებასთან დაკავშრებით იქნა გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიება, რომ პირს, რომლის ქონებასაც დაედო ყადაღა, შესაძლებლობა ჰქონდეს განჩინების გასაჩივრებისას წარმოადგინოს დასაბუთებული პოზიცია, წარმოადგინოს მისი პოზიციის გასამყარებლად და ბრალდების მხარის არგუმენტების საწინააღმდეგო რელევანტური მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირისთვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლით მინიჭებულ გასაჩივრების უფლებას ექნება ფორმალური ხასიათი და ვერ უზრუნველყოფს უფლებით რეალურად სარგებლობას.

განჩინებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორის მიერ „შუამდგომლობაზე დართული მასალები ასაბუთებს საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების აუცილებლობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს საკმარისი მონაცემები და ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან და წარმოდგენილია პროკურორის მიერ. ყადაღის დადების მიზანს წარმოადგენს, დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთის უზრუნველყოფა.“ სასამართლოს განმარტებით, პროკურორის მიერ წარდგენილი მასალების თანახმად, შუამდგომლობაში მითითებული ორგანიზაციები, „გასცდნენ წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ემსახურებიან დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებას.“

შესაბამისად, სასამართლომ, არასამეწარმეო იურიდიული პირების საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების მიღების დროს გაიზიარა პროკურატურის პოზიცია, რომ

ახორციელებდნენ ისეთ საქმიანობას, ოაც აო აქვთ მითითებული წესდებაში და ეწევიან „დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებას“. თუმცა განჩინებაში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა
მითითებული თითოეული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ორგანიზება, როდის, ვისი მონაწილეობით ან/და რა მატერიალური რესურსებითა და რა ოდენობის ფულადი თანხებით განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება. განჩინებაში ასევე არ არის მითითებული, თუ რაში გამოიხატებოდა, როდისთვის და ვისი მონაწილეობით მზადდებოდა დანაშაული, რომლის აღსაკვეთადაც იქნა გამოყენებული საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება და განკარგვის აკრძალვა და კონკრეტულად, განჩინებაში მითითებული თითოეული იურიდიული პირი, რა სახით იყო დაკავშირებული დანაშაულის მომზადებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, განჩინებიდან გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატებოდა

მიერ უკვე განხორციელებული დანაშაულებრივი საქმიანობა ან/და მომავალში განსახორციელებელი დანაშაულებრივი ქმედება.

აქვე აღსანიშნავია, რომ განჩინებაში სასამართლო მიუთითებს, რომ ხსენებული ორგანიზაციები გასცდნენ წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების კანონიერ საფუძვლად, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობით, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს არ აქვთ აკრძალული განახორციელონ ისეთი საქმიანობა, რაც არ არის მითითებული მათ წესდებაში, თუ ასეთი საქმიანობა, ზოგადად, არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

შესაბამისად, მოცემულ საქმეში, მნიშვნელოვანია ამიკუსში წარმოდგენილი სტანდარტების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს მხრიდან შეფასდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობა, თუ რა გარემოებების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების განხილვისა და შეფასების შედეგად გაიზიარა სასამართლომ შუამდგომლობის ავტორის პოზიცია და ყადაღა დაადო არასამეწარმეო იურიდიული პირების საბანკო ანგარიშებს.

ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2025 წლის 1 სექტემბერს გავრცელებული განცხადებიდან ირკვევა, რომ საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისათვის ფინანსების მობილიზების[79] ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების მიერ დადგენილია, რომ „2024 წლის პერიოდში საქართველოს პარლამენტის წინ და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე მიმდინარე ძალადობრივი საპროტესტო აქციების დაგეგმვასა და ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ასევე ცალკეული ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.“ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, სწორედ „აღნიშნული გარემოებები [საპროტესტო აქციებში მონაწილეობა] და სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები საფუძვლად დაედო 12 იურიდიული პირის - ფონდების

და არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშების დაყადაღებას, რითაც შეიზღუდა ფულადი სახსრების შემდგომი არამიზნობრივი განკარგვა."

განჩინებიდან გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატებოდა იმ იურიდიული პირების, დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელთა საბანკო ანგარიშებს დაედო ყადაღა. ასევე, ბრალდების მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციიდანაც არ იკვეთება, რომ გამოძიების მიერ, 2025 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, დადგენილი იყოს საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისათვის ფინანსების მობილიზების, როგორც დასრულებული, ასევე მომზადების ფაქტზე კონკრეტული პირის, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ჩადენა და, შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტებზე კონკრეტული პირის/პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

საქართველოს სისხლის სამართლის, როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების მიერ დადგენილი იქნებოდა საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისათვის ფინანსების მობილიზების მომზადების დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით კონკრეტული პირების (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 321^1-ე მუხლის შემთხვევაში, იურიდიული პირის მიერაც) მიერ ჩადენის ფაქტი, ასეთი პირების მიმართ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და საქმეზე უნდა იყოს ბრალდებული პირი/პირები. იმ შემთხვევაში კი, თუ ასეთ დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებს ფიზიკური პირი და ამისთვის იყენებს იურიდიული პირის ფინანსურ რესურსებს, გამოძიების მიერ უნდა მომხდარიყო იურიდიული პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე გამოძიების წარმოება.

გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებას ასაბუთებს სრულყოფილი გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფისა და შემდგომში, გამოძიებისათვის ხელის შეშლის თავიდან არიდების მიზნებითაც, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დანაწესებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ყადაღის დადების მიზანსა და საფუძველს.

3.4. სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ (ე.წ. SLAPPs – Strategic Lawsuits Against Public Participation)

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის სათანადოდ შესაფასებლად, სახალხო დამცველი დამატებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სამართალწარმოების უარყოფითი პრაქტიკის შესახებ.

კერძოდ, ბოლო პერიოდში, ევროპაში, საგრძნობლად გაიზარდა მდიდარი და გავლენიანი პირების მხრიდან ერთი შეხედვით ლეგიტიმური, თუმცა გადაჭარბებული ან/და უსაფუძვლო სარჩელების წარდგენის ტენდენცია, რომლებიც კრიტიკის ცენზურის ქვეშ მოქცევას და მის ჩახშობას ემსახურება.[80] მსგავსი პრაქტიკა ცნობილია, როგორც სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ (ე.წ. SLAPPs – Strategic Lawsuits Against Public Participation) და ძირითადად, მიმართულია უფრო სუსტი მხარის - ჟურნალისტების და სხვა უფლებადამცველების, შესაბამისად, საზედამხედველო ფუნქციის (ე.წ. "watchdog" ფუნქცია) განმახორციელებლებისკენ, რომლებიც ღიად აფიქსირებენ კრიტიკულ პოზიციებს პოლიტიკურ და სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.[81]

ამგვარი სამართალწარმოება უმეტესწილად შენიღბულია ცილისწამებასთან დაკავშირებული მოთხოვნებით, თუმცა ისინი აგრეთვე თავს იჩენს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კონტექსტშიც.[82] მაშინ კი, როდესაც მოსალოდნელი სანქციები ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა, ისინი განსაკუთრებით მზღუდავ ხასიათს ატარებენ და აქვთ კიდევ უფრო მძიმე ეფექტი.[83] აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სამართალწარმოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მინისტრთა კომიტეტის მიერ 2024 წელს მიღებულ რეკომენდაციაში, ე.წ. "SLAPP"-ები ფართოდ განიმარტა და მოიცვა ნებისმიერი სამართლებრივი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს მათი სამიზნის შევიწროვებას ან დაშინებას და რომელიც ცდილობს, ხელი შეუშალოს, შეაფერხოს, შეზღუდოს ან დასაჯოს როგორც თავისუფალი გამოხატვა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებზე, ასევე საზოგადოებრივ ჩართულობასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელება.[84]

ამ რეკომენდაციის მიზანია, დაფაროს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი ხასიათის პროცესები, რათა ეფექტიანად შეუწყოს ხელი წევრ სახელმწიფოებში კონვენციით ნაკისრი ფართო ვალდებულების შესრულებას, უზრუნველყონ უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო საჯარო დებატებში მონაწილეობისთვის, რაც პლურალისტური, დემოკრატიული საზოგადოების

არსებითი მახასიათებელია და ემყარება სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. რამდენადაც სახელმწიფოებისთვის ერთ-ერთი გამოწვევა მსგავსი სამართალწარმოების იდენტიფიცირება და მათ წინააღმდეგ შესაბამისი დამცავი მექანიზმების შექმნაა, რეკომენდაცია აზუსტებს ძირითად ტერმინებს და გაწერს იმ მახასიათებლებს, რაც "SLAPP"-ების შემთხვევაში ვლინდება.

მაგალითად, საზოგადოებრივი ჩართულობა განიმარტება, როგორც ყველას დემოკრატიული უფლება, მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ონლაინ და ოფლაინ, შიშისა და დისკრიმინაციის გარეშე. ეს, მათ შორის, მოიცავს ისეთი აზრისა და იდეების გამოხატვის შესაძლებლობას, რომელიც ეწინააღმდეგება ან აკრიტიკებს ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ ნარატივს. ამგვარად, საზოგადოებრივი ჩართულობა ქმედებების ფართო სპექტრს ფარავს და მოიაზრებს ადვოკატირებას, მშვიდობიანი პროტესტის ფორმებს, საერთაშორისო და რეგიონულ მექანიზმებთან თანამშრომლობას, უფლებადარღვევების და კორუფციის წინააღმდეგ საუბარს და სხვ. ცნება აგრეთვე ვრცელდება საზოგადოებრივი ჩართულობის მხარდაჭერისა და დახმარებისკენ მიმართულ აქტივობებზე.

რაც შეეხება "SLAPP"-ების ინდიკატორებს, რეკომენდაცია 10 ასეთი ელემენტისგან შემდგარ არასრულ სიას განსაზღვრავს, რომელთა შორის, ზოგიერთი განსაკუთრებით საყურადღებოა წინამდებარე მოსაზრების მიზნებისთვის. პირველ რიგში, ამ საქმეებისთვის დამახასიათებელია მხარეთა შორის უთანასწორობა. გარდა ამისა, პროცესის ინიციატორის მიერ გამოყენებული არგუმენტები არის ნაწილობრივ ან სრულად უსაფუძვლო, ხოლო მოთხოვნები - არაპროპორციული, გადამეტებული და არაგონივრული. სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე თანადროული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო დისკუსიებში მონაწილე პირების დაშინებას, დისკრედიტაციას ან შევიწროვებას, ან ემსახურება ძირითადი საკითხიდან ყურადღების გადატანას.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო სტრუქტურული და პროცედურული გარანტიების შექმნა, რათა მოახდინონ "SLAPP"-ების პრევენცია და მათ მიერ გამოწვეული ზიანის შემცირება. მათ შორის, ერთ-ერთი მსგავს ზომად მოაზრებულია სასამართლოების მიერ მსგავსი სამართალწარმოების შეწყვეტა საკუთარი ინიციატივით.

საზოგადოების ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოების პრობლემა უკვე ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც. კერძოდ, 2022 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე *OOO Memo v. Russia*, სასამართლომ მითითება გააკეთა ხსენებულ ცნებაზე, მხედველობაში მიითო საზოგადოებრივი ჩართულობის შეზღუდვისკენ მიმართული სამართალწარმოების რისკები დემოკრატიისთვის, ისევე როგორც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული ძალაუფლებრივი დისბალანსი და მნიშვნელოვნად მიიჩნია, შეეფასებინა, ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიერ მედია კომპანიის წინააღმდეგ წარმოებული ცილისწამების საქმე.[85]

განსახილველი პრობლემის პრევენცია აქტუალურია აგრეთვე ევროკავშირისთვის, რომლის ფარგლებშიც, გასულ წელს ასევე მიღებულ იქნა 2024/1069 დირექტივა "SLAPP"-ების წინააღმდეგ.[86] დირექტივა ხაზს უსვამს ფიზიკური და იურიდიული პირების დაცვის აუცილებლობას საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოებისგან, რომელთა მიზანიც საჯარო დებატების ჩახშობა და კანონმდებლობის დარღვევების შესწავლისა და ანგარიშგების ხელშეშლაა, რაც, როგორც წესი, ხორციელდება შევიწროვებისა და დაშინების გზით.[87] დირექტივის ამოცანაა, სასამართლოებს მისცეს შესაძლებლობა, სათანადოდ გაუმკლავდნენ მსგავსი ბოროტი განზრახვით წამოწყებულ დავებს და მოახდინოს პოტენციური მოსარჩელეების დემოტივაცია. მართალია, დირექტივა სამოქალაქო დავებზე ვრცელდება, თუმცა მასში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული პრაქტიკები მოიცავს აგრეთვე ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს.[88]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლომ უფლებადამცველი ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობების განხილვისას, სათანადო შეფასება მისცეს, ხომ არ არის სახეზე "SLAPP"-ებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი.

4. დასკვნა

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტით, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. საპროცესო იძულების ღონისძიების სახით ქონებაზე ყადაღის დადების მართლზომიერებისა და დასაბუთებულობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნას წინამდებარე მომართვაში ასახული სტანდარტები.

ვიმედოვნებ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია სასამართლოს განსახილველი საკითხების სათანადო შეფასებაში დაეხმარება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას მოცემულ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

---

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ „საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 2.
[2] ხელმისაწვდომია: < bit.ly/463OJpo > [02.09.2025].
[3] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 19-318, ნაწ. 2.
[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 319.
[5] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 321^1, ნაწ. 2., ქვეპუნქტ. ა.
[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 35, პუნ. 4.
[7] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე".
[8] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 207, ნაწ. 4.
[9] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 55, ნაწ. 1.
[10]

[11] ხელმისაწვდომია: < bit.ly/429ShoX > [02.09.2025].
[12] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქტ. 1.
[13] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქტ. 2.
[14] „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი N1:, მუხ. 1.
[15] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 1.
[16] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 2.
[17] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 3^1.
[18] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 152, ნაწ. 1.
[19] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 156.
[20] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 207, ნაწ. 4.
[21] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 11.
[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 18, ნაწ. 2.
[23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 18, ნაწ. 1.
[24] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 18, ნაწ. 3.
[25] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 25, ნაწ. 2.
[26] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 25, ნაწ. 5.
[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Hadjianastassiou v. Greece, განაცხადი №12945/87, 16.12.1992 წ. §33.
[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Taxquet v. Belgium [GC], განაცხადი №926/05, 16.10.2020 წ. §91.
[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Hadjianastassiou v. Greece, განაცხადი №12945/87, 16.12.1992 წ. §33; Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.
[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Ruiz Torija v. Spain, განაცხადი №18390/91, 09.12.1994 წ. §29; Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.
[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Van De Hurk v. the Netherlands, განაცხადი №16034/90, 19.04.1994 წ. §61; Perez v. France [GC], განაცხადი №47287/99, 12.02.2004 წ. §80.
[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Lobzhanidze and Peradze v. Georgia, განაცხადი №21447/11, N35839/11, 27.02.2020 წ. §66.
[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.
[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kuznetsov and others v. Russia, განაცხადი №184/02, 11.01.2007 წ. §82-85.
[35] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], განაცხადი №19867/12, 11.07.2017 წ. §84.
[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Rostomashvili v. Georgia, განაცხადი №13185/07, 08.11.2018 წ. §59;.
[37] გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ, მუხლი 1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3mErlpW > [02.09.2025]; ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2XaBO3e > [02.09.2025]; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2UIDIq2 > [02.09.2025]; ევროკავშირის სახელმძღვანელო უფლებადამცველების შესახებ, პარ. 3, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3c64xKX > [02.09.2025]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო", 2020, გვ. 4-5, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2KvP4LI > [02.09.2025].
[38] გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი № 29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ.6.
[39] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო", 2020, გვ. 5.
[40] იხ. გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ, მუხლი 1, მუხლი 5, მუხლი 6, მუხლი 8 და მუხლი 13.
[41] დეკლარაციის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ვებგვერდზე: < https://bit.ly/3aFQuht > [02.09.2025].
[42] *იქვე.*
[43] გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ.

[44] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014.
[45] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის № 2225 რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში უფლებადამცველების დაცვის შესახებ.
[46] გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ, მუხლი 2.1.
[47] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 12 აპრილი 2013, A/HRC/RES/22/6, პარ. 2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2xPApV6 > [02.09.2025]; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მოხსენება, 23 დეკემბერი 2013, A/HRC/25/55, პარ. 54-61, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://undocs.org/A/HRC/25/55 > [02.09.2025].
[48] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ. 24.
[49] სტამბოლის კონვენციის მე-9 მუხლი.
[50] განმარტებითი ბარათის თანახმად, მე-9 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს აქტიურ ხელშეწყობასაც ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის. ეს ნიშნავს, რომ მათ უნდა მიეცეთ მაქსიმალურად ეფექტიანი მუშაობის საშუალება. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პუნქტი 69, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/Sa0Ne> [02.09.2025].
[51] სტამბოლის კონვენციის მე-7 მუხლი. ამასთან, სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი დეტალურად განმარტავს, რომ შედეგები ბევრად უფრო ხელშესახებია, როდესაც სამართალდამცველი ორგანოები, სასამართლო ხელისუფლება, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, ბავშვთა დაცვის სააგენტოები და სხვა შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციები კონკრეტული საკითხის გარშემო ერთიანდებიან.
[52] სტამბოლის კონვენციის მე-13 მუხლი.
[53] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) ქვეყნის შესახებ საბაზისო შეფასების ანგარიში, 2022 წელი, პუნქტი 56.ა.
[54] *იქვე*, პუნქტი 50.ა.
[55] პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, პუნქტი 350.
[56] პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, პუნქტი 20.
[57] გაეროს 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, პრეამბულა.
[58] გაეროს 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლები 3(2), 6.
[59] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 15 ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლების შესახებ, 2013, პარ. 14, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/P7JCr > [02.09.2025].
[60] გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეზოლუცია დანაშაულის მსხვერპლი ბავშვებისა და მოწმეების საკითხებში მართლმსაჯულების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, 2005, № 2005/20, პარ. 32, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/uokNB > [03.09.2025].
[61] გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, სახელმძღვანელო პროფესიონალებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის მართლმსაჯულების საკითხებზე მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან დაკავშირებით, 2009, გვ. 47, 94, 100, 106, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/w4CoN > [02.09.2025].
[62] *იქვე*, გვ. 50.
[63] *იქვე*, გვ. 57.
[64] *იქვე*, პარ. 6.
[65] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №24 ბავშვის უფლებებზე მართლმსაჯულების სისტემაში, 2024, პარ. 110, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/aDV2v > [02.09.2025].
[66] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989, მუხლი 3(1), ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019, მუხლი 5.
[67]გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 14 ბავშვის უფლებაზე, უპირველესად იყოს გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები, 2019, პარ. 5, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/yb9KE > [03.09.2025].
[68] *იქვე*, პარ. 19.
[69] *იქვე*, პარ. 20.
[70] *იქვე*.
[71] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 14 ბავშვის უფლებაზე, უპირველესად იყოს გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები, 2019, პარ. 15, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/yb9KE > [03.09.2025].
[72] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2023 წელი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://shorturl.at/vRdbB > [03.09.2025].
[73] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი მიგნებები საქართველოს მეხუთე და მეექვსე კომბინირებული პერიოდული ანგარიშების შესახებ, 2024, პარ. 13, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/7Dgwh > [03.09.2025].
[74] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. ხელმისაწვდომია ბმულზე: < http://bit.ly/3JL1Kgk > [03.09.2025].
[75] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 17, პუნქტი 2.
[76] „გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონვენციის მონიტორინგში მონაწილეობს სამოქალაქო საზოგადოების ყველა ორგანიზაცია". გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N7, პარ. 14. დოკუმენტი მისაწვდომია ბმულზე =: < https://bit.ly/3UU6CSy > [03.09.2025].
[77] „შშმ პირებს უნდა შეეძლოთ სასამართლოში უფლებების დაცვა პირადად ან ადვოკატის დახმარებით". გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N1, პარ. 38, მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3UU6CSy > [03.09.2025].
[78] ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია, თუ რა მტკიცებულებები და ინფორმაცია მოიპოვება სისხლის სამართლის საქმეში, რომლის ფარგლებშიც დაედო ყადაღა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბანკო ანგარიშებს განჩინებით, წინამდებარე წერილობით მოსაზრებაში არ არის განხილული თავად ყადაღის დადების საფუძვლიანობის საკითხი.
[79] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 318, 19-318, 319 და 321[1].
[80]იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის 2020 წლის 27 ოქტომბრის კომენტარი „SLAPP"-ებთან

დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3Id7uKH > [02.09.2025].
[81] Protecting Public Watchdogs Across the EU: a Proposal for an EU Anti-Slapp Law, pp. 7-8, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3R1t0WS > [02.09.2025].
[82] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2024 წლის 5 აპრილის რეკომენდაცია CM/Rec(2024)2 საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სამართალწარმოების („SLAPPs") წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
[83] *იქვე.*
[84] *იქვე.*
[85] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: OOO Memo v. Russia, განაცხადი №2840/10, 15.03.2022 წ. §43.
[86] ევროპარლამენტის და საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის 2024/1069 დირექტივა აშკარად უსაფუძვლო სარჩელების ან ბოროტი განზრახვით წამოწყებული სასამართლო დავებისგან საზოგადოებრივ ჩართულობაში მონაწილე პირების დაცვის შესახებ („სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ").
[87] იქვე, პარ. 14.
[88] იქვე, პარ. 17.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი